ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12/23
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი *17 დეკემბერი, 2015 წ.*

ერთი მხრივ, სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ალექსანდრე კოდუას სახით და მეორე მხრივ, სსიპ საქართველოს შსს აკადემია (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი პროორექტორის ზაალ კაპანაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 34 თანამშრომლის მომზადების საგანმანათლებლო კურსის ჩატარების **(CPV80530000 - მომსახურებები პროფესიული მომზადების სფეროში)** მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საგანმანათლებლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა და აღწერილობა მოცემულია დანართში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4080 (ოთხი ათას ოთხმოცი) ლარს;**

3.2. საგანმანათლებლო კურსის ღირებულება ერთი პირისთვის შეადგენს 120 (ას ოცი) ლარს;

3.3. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა;

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 34 თანამშრომლის მომზადების საგანმანათლებლო კურსი ჩატარების ორგანიზება და ჩატარება ორ ჯგუფად (17-17 მონაწილე), პირველი ჯგუფი: 2015 წლის 21, 23 და 25 დეკემბერი და მეორე ჯგუფი: 2015 წლის 22 , 24 და 26 დეკემბერი, სწავლება ჩატარდება მისამართზე ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. N4;

4.1.2. მომსახურების გაწევა მოახდინოს სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე ტრენერის მეშვეობით;

4.1.3. უზრუნველყოს მსმენელი შესაბამისი სასწავლო მასალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.1.4. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილების

შემთხვევაში, სასწავლო პროცესების დასრულების შემდგომ გასცეს შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი, მსმენელის მიერ სასწავლო პროგრამით დადგენილი ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;

4.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.6. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ანალიზის, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს გიორგი კოშაძე;

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სააგენტოს კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ არაგველი;

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის სახაზინო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო	**სსიპ საქართველოს შსს აკადემია**
საიდენტიფიკაციო კოდი: 205316399;	საიდენტიფიკაციო კოდი: 206348987
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - კ. მარჯანიშვილის №89/24;	მის: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. N4
	ს/კ 209 467 628
	მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
	მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი - TRESGE22
	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707977151
	ტელ: 551 08 10 28 m_kobalia@mia.gov.ge
დირექტორის მოადგილე	პროორექტორი
ალექსანდრე კოდუა	ზაალ კაპანაძე

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (სსიპ საქართველოს შსს აკადემია; №12/23) არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე

/ალექსანდრე კოდუა/

სააგენტოს კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსი

/ნიკოლოზ არაგველი /

ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ანალიზის, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

/ გიორგი კოშაძე /

ვიზირება:

სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

/ იოანე ჭანტურია/

სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (შესყიდვების მენეჯერი);

/ მაკა ლეშკაშელი/

2015 წლის 17 დეკემბერს, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12/23 ხელშეკრულების

დანართი

კურსის აღწერილობა

კურსი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომელთა მომზადების საგანმანათლებლო კურსი
კურსის ხანგრძლივობა:	14 სთ
კურსის მიზნები:	კურსდამთავრებულს მისცეს სათანადო ცოდნა, კომპეტენცია, გამოუმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები, რომელიც მას ესაჭიროება პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისათვის. მსმენელმა შეძლოს: ➢ სააგენტოს თანამშრომელის საქმიანობის ძირითადი პრინციპების, მისი უფლებების და მოვალეობების განსაზღვრა; ➢ შესაბამისი კვალიფიკაცია მიანიჭოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და სააგენტოს თანამშრომელის კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სამართალწარმოება; ➢ ეფექტურად და დადგენილი წესების მიხედვით კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით. ➢ მისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი მოქმედებების განხორციელება; ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა და შესაბამისი სახდელის შეფარდება; ➢ საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება; ➢ სამართალდამრღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების განმარტება;
სწავლების ენა:	ქართული
კურსის ხელმძღვანელი:	ნოდარ სააკაშვილი

სწავლის და სწავლების მეთოდები	სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: *ცოდნის და გაცნობიერების მიღწევის მეთოდები:* • ლექცია - სემინარი • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • ინტერაქტიული მეცადინეობები ➢ *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის მიღწევის მეთოდები:* • კაზუსების განხილვა; • ოქმის შევსება; ➢ *დასკვნის უნარის განვითარების მეთოდები:* • სიტუაციური ამოცანების განხილვა; ➢ *კომუნიკაციის უნარის განვითარების მეთოდები:* • ვერბალური მეთოდი;

	ცოდნა/გაცნობიერება *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანები და მოქმედების სფერო, ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სახეები, დისკრეციული უფლებამოსილების არსი. ➢ ნორმატიული აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ; ➢ სააგენტოს სტრუქტურა, სააგენტოს თანამშრომლის უფლება-მოვალეობები; ➢ გაცნობიერებული ექნება სააგენტოს თანამშრომლის როლი საზოგადოების უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის განმტკიცების სფეროში. ➢ სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ძირითადი პრინციპები და ამოცანები. სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონალური დატვირთვა და ანგარიშვალდებულებები; ➢ სამსახურის საქმიანობის მიმართულებები, ძირითადი ფორმები, მეთოდები და ორგანიზაცია, ასკ-ს 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოსავლენად შემოწმების

სწავლის შედეგები	განხორციელების ფორმები. ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულირების სფერო, სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ კონტროლის სახეები, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება დროსა და სივრცეში, კანონის უკუქცევით ძალა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) არსი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები. ➢ ადმინისტრაციული სახდელის ცნება, ადმინისტრაციული სახდელების სახეები (მათი შინაარსი), ძირითადი და დამატებითი სახდელების კლასიფიკაცია (მათი განმარტებები), ადმინისტრაციული სახდელის დადების წესი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; ➢ სამართალდარღვევათა საქმეზე კანონმდებლობით განსაზღვული დადგენილებათა სახეები, მათი გასაჩივრების უფლება, გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირები, გასაჩივრების წესი, ვადები, საქმის განხილვის ადგილი, განხილვის ვადები, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი, აღსრულების გადადება, შეწყვეტა, შეწყვეტის საფუძვლები, სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების ხანდაზმულობა, დადგენილებათა აღსრულების (იძულებით აღსრულების) წარმოების წესი და სხვა. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ერთმანეთისაგან განასხვაოს ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საქმეებზე ჩაატაროს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და მიიღოს გადაწყვეტილება დისკრეციულობის გათვალისწინებით. ➢ არ გაცდეს სააგენტოს თანამშრომის ქმედების მარეგულირებელი აქტების დანაწესს შესაბამისი ქმედების განხორციელებისას. ➢ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს სამსახურებრივი ეთიკის ნორმებით; ➢ დისკრეციულ უფლებამოსილების გამოყენებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დროს ოქმების სრულყოფილად შევსებას, სახდელის შეფარდებას და სამართალდარღვევის ოქმის წარდგენას უფლებამოსილ პირთან სარეგისტრაციოდ; ➢ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და წესით ადმინისტრაციული საქმის წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას. **დასკვნის უნარი** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ყოველი კონკრეტული შემთხვევის სრულფასოვნად შეფასებას, რაც დაეხმარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოებას. გარდა ამისა მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, სამართლებრივი ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენას და მათი გადაჭრის

	ეფექტური გზების შემუშავებას; **კომუნიკაციის უნარი** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ სამართალდამრღვევისათვის გასაგებ ენაზე, მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; ➢ მოქალაქეებთან კონტაქტში შესვლას, მათივე უფლებების და დაცვის მექანიზმების მათთვის გასაგებ ენაზე განმარტებას, სააგენტოს ფუნქციების და საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; ➢ შემთხვევის ადგილზე მყოფ პირებთან სამართლებრივად გამართული ფორმით გასაუბრებას. **ღირებულებები** ➢ კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება სააგენტოს თანამშრომლის საქმიანობის მნიშვნელობა საზოგადოებრი წესრიგის დაცვის და უსაფთხოების უზრუნველყოფის სფეროში; ➢ კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება მის მიერ მიცემული ჩვენების მნიშვნელოვნება.

საგნების ჩამონათვალი

N	საგნების სახელწოდება	ხანგრძლივობა (სთ)	შეფასება
	I მოდული		
1.	ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები.	10	ჩათვლა (დანართი N 1 შესაბამისად)
2.	სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დებულება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი	2	
		სულ: 12 სთ	სულ: 2 სთ

I მოდული

საგანი: ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები კოდი: 1	დავით ჭეღელიძე
მიზანი:	კურსდამთავრებულმა შეისწავლოს ძირითადი სამართლებრივი აქტები რომლებიც აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობისას.

სწავლის და სწავლების მეთოდები	➢ ინტერაქტიული ლექციები; ➢ დისკუსიები; ➢ კაზუსების განხილვა.			
ნორმატიული აქტები	➢ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; ➢ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.			
კოდი №1	ლექციის თემა:	ქვიზი	პრაქტიკული	სწავლის შედეგები
1/1	**საგნის გაცნობა, მიზნებისა და თემატიკის განსაზღვრა.** ➢ ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება, მისი ამოცანები. ➢ ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება. ➢ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ➢ ადმინისტრაციული წარმოების განმარტება. ➢ დისკრეციული უფლებამოსილება. ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანი; ➢ კონტროლის სახეები სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ; ➢ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა); ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის			**ცოდნა/გაცნობიერება -** *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანები და მოქმედების სფერო, ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სახეები, დისკრეციული უფლებამოსილების არსი. ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულირების სფერო, სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ კონტროლის სახეები, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება დროსა და სივრცეში, კანონის უკუქცევითი ძალა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) არსი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალეულობის ფორმები (განზრახვა და გაუფრთხილებლობა). *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -* ➢ მიღებული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკაში

	ბრალეული ჩადენა (განზრახვა და გაუფრთხილებლობა); ➢ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკი.			შეძლებს ერთმანეთისაგან განასხვაოს ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საქმეებზე ჩაატაროს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და მიიღოს გადაწყვეტილება დისკრეციულობის გათვალისწინებით. ➢ ქმედებაზე სწორ რეაგირებას და სახდელის შეფარდების ეტაპზე გაითვალისწინებს სავალდებულო გარემოებებს (სამართალდარღვევის ხასიათს, ბრალეულობის ხარისხს, სამართალდამრღვევის პიროვნებას, ქონებრივ მდგომარეობას, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებას). *დასკვნის გაკეთების უნარი -* ➢ შეძლებს მის წარმოებაში არსებული საქმის სწორად შეფასებას, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას. *კომუნიკაციის უნარი -* *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ სამართალდამრღვევისათვის ამომწურავი, სამართლებრივად დასაბუთებული და გასაგები ფორმით პასუხის გაცემას, ასევე მათთვის უფლება-მოვალეობების გაცნობას.
1/2	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები ➢ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები (უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიება, შეურაცხადობა); ➢ მცირე მნიშვნელობის მქონე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან			ცოდნა/გაცნობიერება - *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები (უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიება, შეურაცხადობა); ➢ მცირე მნიშვნელობის მქონე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ➢ ადმინისტრაციული სახდელის ცნება,

	გათავისუფლების შესაძლებლობა. ➢ ადმინისტრაციული სახდელის ცნება და მიზნები. ➢ ადმინისტრაციული სახდელების სახეები (მათი განმარტებები). ➢ ძირითადი და დამატებითი ადმინისტრაციული სახდელები. ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესები.			ადმინისტრაციული სახდელების სახეები (მათი შინაარსი), ძირითადი და დამატებითი სახდელების კლასიფიკაცია (მათი განმარტებები), ადმინისტრაციული სახდელის დადების წესი. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეწყვეტს ადმინისტრაციული საქმისწარმოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით; ➢ დისკრეციულ უფლებამოსილების გამოყენებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -** *მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნას სხვა სამართალურთიერთობებისაგან; ➢ სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით ქმედების სრულფასოვან შეფასებას, შემდგომში კანონის ობიექტური ნების გამოვლენის უზრუნველსაყოფად; ➢ გამიჯნავს ერთმანეთისგან ძირითად და დამატებით სახდელებს. **დასკვნის გაკეთების უნარი -** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, სამართლებრივი ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენას და მათი გადაჭრის ეფექტური გზების შემუშავებას ➢ შეიძენს ყოველ კონკრეტული შემთხვევის სრულფასოვნად შეფასების უნარს, რაც

				დაეხმარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში
1/3	**ადმინისტრაციული სახდელები. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება** ➢ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ➢ ორი ან მეტი სამართალდარღვევის ჩადენა ერთი პირის მიერ. ➢ ვადა რომლის გასვლის შემდეგაც პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად. ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ➢ მუხლი 103. ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა. ➢ მუხლი 166. წვრილმანი ხულიგნობა. ➢ მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.			**ცოდნა/გაცნობიერება -** *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; ➢ ერთი პირის მიერ ორი ან მეტი სამართალდარღვევის ჩადენისას სახდელის დაკისრების თავისებურებები, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადები, სახდელდადებულობის ხანდაზმულობის ვადა; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას წარმოშობილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ის მუხლები, როგორიცაა: ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა, წვრილმანი ხულიგნობა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება. გაცნობიერებული ექნება თითოეული მუხლის მნიშვნელობა და ეცოდინება მათში მოცემული ქმედების არსი. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -** *მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნას სხვა სამართალურთიერთობებისაგან;

				➢ სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით ქმედების სრულფასოვან შეფასებას, შემდგომში კანონის ობიექტური ნების გამოვლენის უზრუნველსაყოფად; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ყურადღების გამახვილებას დამამძიმებელ ან/და შემამსუბუქებელ გარემოებებზე; ➢ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენას და აღკვეთას; ➢ ქმედების სწორ კვალიფიკაციას; ➢ შესაბამისი სახდელის შეფარდებას ან მასალების გადაგზავნას უფლებამოსილ ორგანოში. **კომუნიკაციის უნარი -** მას ექნება შესაბამისი ცოდნა, რომ განუმარტოს მოქალაქეებს მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის არსი და დააკვალიანოს დაზარალებული მოქალაქეები, რომ მე-40-ე მუხლის საფუძველზე მათ შეუძლიათ მოითხოვონ ადმინისტრაციული გადაცდომის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების გაანალიზებას, ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებას და განზოგადებას. ➢ მოქალაქეთათვის მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის არსის და მოსალოდნელი შედეგების მათთვის გასაგებ ენაზე განმარტებას. **ღირებულებები** ➢ კურსდამთავრებულს გათავისებული ექნება მისი ქმედების მნიშვნელოვნება ადამიანის

				უფლებების დაცვის კუთხით სახდელის შეფარდების ეტაპზე.
1/4	**ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება. მტკიცებულებანი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ადმ. სამართალდარღვევათა საქმის შეწყვეტის საფუძვლები. სამართალდამრღვევის უფლებები და მოვალეობები** ➢ მუხლი 200-201. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) და მათი უფლებამოსილება. ➢ მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები ➢ მუხლი 209. შინაგან საქმეთა ორგანოები ➢ მუხლი 209^3 . ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ➢ მუხლი 230-232, 234^1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები და წესი ➢ მუხლი 236-237. მტკიცებულებანი და მათი შეფასება ➢ მუხლი 239-241. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ოქმის შედგენის კომპეტენციის ფარგლები) და მისი შინაარსი ➢ მუხლი 242. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება. ➢ მუხლი 243. დამრღვევის მიყვანა. ➢ მუხლი 244. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები ➢ მუხლი 245-246. ადმინისტრაციული დაკავება და დაკავებაზე უფლებამოსილი			**ცოდნა/გაცნობიერება -** *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ ორგანოები რომლებიც უფლებამოსილი არიან ადმ. სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე; ➢ საქმეთა ქვემდებარეობის განსაზღვრა; ➢ რა შემთხვევაში ხდება საქმის ადგილზე განხილვა; ➢ მტკიცებულებების მნიშვნელობა სამართალწარმოების პროცესში; ➢ გარემოებანი რომლებიც გამორიცხავენ საქმის წარმოებას, რა ამოცანები დგას სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წინაშე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობის განსაზღვრას, იმ გარემოებათა დადგენას, რომლებიც გამორიცხავენ საქმის წარმოებას, მტკიცებულებათა აღმოჩენას და შეფასებას; ➢ საქმის წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიებების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და წესით გამოყენებას; ➢ კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას; ➢ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტებას. **დასკვნის გაკეთების უნარი** ➢ კურსდამთავრებული შეძლებს ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების გაანალიზებას და მის საფუძველზე

	ორგანოები ➢ მუხლი 247. ადმინისტრაციული დაკავების ვადები ➢ მუხლი 248. პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა ➢ მუხლი 249. ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა ➢ მუხლი 251. ადმინისტრაციული დაკავების, გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრება ➢ მუხლი 252. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები			სწორი გადაწყვეტილების მიღებას. **კომუნიკაციის უნარი** *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ მოქალაქეებს მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის არსი, გასაჩივრების ვადა და წესი, აგრეთვე მათთვის უფლება-მოვალეობების გაცნობას.
1/5	**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულება. ცალკეულ დადგენილებათა აღსრულების წესი** ➢ მუხლი 260-262 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი და ვადები ➢ მუხლი 264 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას გამოსარკვევი გარემოებანი ➢ მუხლი 266. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ➢ მუხლი 267. დადგენილებათა სახეები • სახდელის დადების შესახებ; • სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ; • ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა სახდელით შეცვლის თაობაზე; • საურავის დარიცხვის თაობაზე. ➢ მუხლი 268. საქმეზე მიღებული დადგენილების გამოცხადება და დადგენილების ასლის ჩაბარება ან გაგზავნა			**ცოდნა/გაცნობიერება** *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ ადმ. სამართალდარღვევათა საქმეზე კანონმდებლობით განსაზღვრული დადგენილებათა სახეები, მათი გასაჩივრების უფლება, გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირები, გასაჩივრების წესი, ვადები, საქმის განხილვის ადგილი, განხილვის ვადები, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი, აღსრულების გადადება, შეწყვეტა, შეწყვეტის საფუძვლები, სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების ხანდაზმულობა. ➢ ჯარიმის შესახებ დადგენილების, ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წესების თავისებურებები, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

	➢ მუხლი 270. წინადადებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ ➢ მუხლი 271-273. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების უფლებ, ვადა, წესი და აღსრულების შეჩერება ➢ მუხლი 275. დადგენილების აღსრულების საკითხის გადაწყვეტა ➢ მუხლი 276. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვა ➢ მუხლი 278. საჩივრის ან პროტესტის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გამო ➢ მუხლი 281. დადგენილების გაუქმების შედეგები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტით ➢ მუხლი 282. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობა ➢ მუხლი 283. დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ➢ მუხლი 285-287 ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება, შეწყვეტა და ხანდაზმულობა ➢ მუხლი 290. დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადები და წესები ➢ მუხლი 291. დაჯარიმების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება			*კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი, მკაცრად დაიცვას საქმის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილი ვადები, შეადგინოს შესაბამისი ოქმი; **დასკვნის უნარი** ➢ კურსდამთავრებული შეძლებს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების გაანალიზებას და მის საფუძველზე სწორი გადაწყვეტილების მიღებას. **კომუნიკაციის უნარი** ➢ კურსდამთავრებული შეძლებს მოქალაქეებს მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების წესი.

	➢ მუხლი 293. დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოების დამთავრება ➢ მუხლი 311. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წესი და ვადები ➢ მუხლი 312. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების შეუსრულებლობის შედეგები ➢ მუხლი 312[1]. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ			

II მოდული

კოდი: №2	საგანი: სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დებულება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი	დავით ჭეღელიძე
მიზანი:	კურსდამთავრებულმა დამოუკიდებლად შეძლოს მის კომპეტეციას მიკუთვნებულ მუხლებზე შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა.	
სწავლის და სწავლების მეთოდები	➢ ინტერაქტიული ლექციები; ➢ ოქმების შევსება შესაბამისი მაგალითების საფუძველზე; ➢ დისკუსიები; ➢ კაზუსების განხილვა.	
ნორმატიული აქტები	➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 17-56 (2014 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ. ➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 28-117 (2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.	

კოდი №2	ლექციის თემა:	ქვიზი	პრაქტიკული	სწავლის შედეგები
2/1	➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 17-56 (2014 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ. ➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 28-117 (2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;		ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ოქმის შევსება	ცოდნა/გაცნობიერება - *კურსდამთავრებულს ეცოდინება:* ➢ სააგენტოს მიზნები; ➢ სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობის სფერო; ➢ სააგენტოს სტრუქტურული თავისებურებები; ➢ საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და მისი შინაარსი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი *კურსდამთავრებული შეძლებს:* ➢ საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის სრულყოფილად შედგენას, გამოწერას; ➢ მოქალაქისათვის შესაბამისი ახსნა-გამარტების ჩამორთმევას; ➢ საჭიროების შემთხვევაში (მაგ. როდესაც ვერ ახერხებს სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირებას) პოლიციის გამოძახებას.

დანართი N 1

ჩათვლის ფორმატი

მსმენელს ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება თუ სწორად უპასუხებს შეკითხვების მინიმუმ 60%-ს (50-დან მინიმუმ 30 შეკითხვა), 20-დან 29 შეკითხვის ჩათვლით სწორი პასუხის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს ერთხელ გადააბაროს ჩათვლა.

შემსყიდველი:
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

დირექტორის მოადგილე
ალექსანდრე კოდუა

მიმწოდებელი:
სსიპ - საქართველოს შსს აკადემია

პროორექტორი
ზაალ კაპანაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომლეთა მომხადების საგანმანათლებლო კურსის მონაწილეთა სია

1. თეიმურაზ ფხალაძე
2. ლერი ქვარაია
3. ნიკოლოზ არაგველი
4. ზურაბ ხუციშვილი
5. პაატა გიგაშვილი
6. გიორგი ჯლანტიაშვილი
7. ვახტანგ ჭელიძე
8. ოთარ ნაყოფია
9. ზურაბ ივანიძე
10. ვალერი გეგენავა
11. გიორგი ხვთისიაშვილი
12. ირაკლი ცოფურაშვილი
13. ილია მდინარიძე
14. გიორგი გოგაშვილი
15. თემურ შამფრიანი
16. გოგა ქაჯაია
17. შოთა ზანდუკელი
18. ლევან მელაძე
19. ლევან ელიზბარაშვილი
20. რატი მამუკაშვილი
21. თამთა ლამბრიანიძე
22. სოფო ცისკარიშვილი
23. თეა ტორუა
24. ვაჟა ბაკარაძე
25. პაატა გუმბერიძე

26. ლევანი ჭიალაშვილი
27. პლატონ კახნიაშვილი
28. გელა გოგიჩაიშვილი
29. ივანე მარხვაშვილი
30. ამირან გოგიტიძე
31. ზექა ნონიაშვილი
32. ვახტანგ ხადური
33. ზვიად ცანკაშვილი
34. ირაკლი გოგოხია